

შპს „ბერი კომპანი“
საიდენტიფიკაციო კოდი 405391473

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ანასეულის ტერიტორიაზე
ლურჯი მოცვის ბაღის მორწყვის მიზნით სამელიორაციო - სარწყავი
სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია

სკრინინგის განცხადება

შემსრულებელი: ელენე თაყაიშვილი
თამარ ხუჭუა

ქ. ოზურგეთი, 2022 წელი

სარჩევი

1. შესავალი _____ გვ.5
2. საქმიანობის აღწერა _____ გვ.5-9
3. სარწყავი სისტემის მოწყობის სქემა _____ გვ.9-10
4. სარწყავი სისტემის მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე _____ გვ.10-11
5. პროექტის განსახორციელებლად საჭირო მასალები _____ გვ.11
6. კომპანიის მიერ სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში გამოსაყენებელი რესურსები _____ გვ.11
7. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები, ნარჩენების წარმოქმნა, ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე _____ გვ.12
8. ავარიული შემთხვევების ალბათობა სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში _____ გვ.12
9. საპროექტო რაიონის გარემოს ფონური მდგომარეობა _____ გვ.13-20
10. დასკვნები _____ გვ.20
11. დანართი #1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან _____ გვ.21-22
12. დანართი #2 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან _____ გვ.23
13. დანართი #3 - სიტუაციური გეგმა სქემატურად _____ გვ.24
14. დანართი #4 სიტუაციური გეგმა ორთოფოტოზე _____ გვ.25

1. შესავალი

შპს „ბერი კომპანის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაბა ანასეულის ტერიტორიაზე გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზეც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაშენების ფაზაშია ესპანეთიდან იმპორტირებული ნერგებით ლურჯი მოცვის ბალი.

პროექტი ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს „დანერგე მომავალის“ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერითა და საკუთარი სახსრებით. აღნიშნულ ბალში გაშენებული ნერგები 4-5 წელიწადში მიაღწევს სრულ მსხმოიარობას, თითოეული ნერგი მოგვცემს 3-4 კგ.ნაყოფს, რაც საერთო ჯამში შეადგენს 40 ტონამდე მოსავალს. მოსავლის ნაწილი იმპორტირებული იქნება საზღვარგარეთ, ნაწილი კი გაიყიდება ქვეყნის შიდა ბაზარზე.

2. საქმიანობის აღწერა

შპს „ბერი კომპანის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ანასეულის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის ბალი - 13 100 მირი 3 ჯიშის ლურჯი მოცვის ნერგი.

მიწის ნაკვეთებია: 1. საკადასტრო კოდი - 26.26.50.074 - ფართობი 32 799 კვ.მ.

2. საკადასტრო კოდი - 26.26.17.219 - ფართობი - 5 801 კვ.მ.


ორივე მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი ჯამში შეადგენს 38600 კვადრატულ მეტრს, საიდანაც ბალი გაშენებულია დაახლოებით 38000 კვადრატულ მეტრ ფართობზე. ორივე მიწის ნაკვეთი მდებარეობს ერთმანეთის მიმდებარედ. შპს „ბერი კომპანის“ აღნიშნული ბალის მორწყვის მიზნით მოწყობილი აქვს წვეთოვანი სარწყავი-სამელიორაციო სისტემა. აღნიშნული სარწყავი სისტემის წყლით მომარაგება ხორციელდება მდ. ორაფოდან, რომელიც მიწის ნაკვეთიდან 40 მეტრში მოედინება.

სარწყავ-სამელიორაციო სისტემის მოწყობის მიზნით წყალაღება ხდება მდინარე ორაფოდან წყლის დამწევი ელექტრო ტუმბოს მეშვეობით.

ტუმბოს პარამეტრებია: დეტეტი - 30 ტ/სთ, წნევა - 5 ატმ. და ელექტრო მოხმარება 2.5 კვტ/სთ.

მდ. ორაფოდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია (საკადასტრო კოდი 26.26.50.243) იხილეთ ფოტო #1 და #2.

X	Y
746154	4643485




ფოტო #1 - წყლის აღების წერტილი და
ტუმბოს შენობა (გარე ხედი)

ფოტო #2 - ტუმბოს შენობა (შიდა ხედი)

აღნიშნული წერტილიდან სპეციალური მილის საშუალებით წყლის მიწოდება ხორციელდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (26.26.50.074) განთავსებულ საფილტრაციო-გამანაწილებელ სადგურში, საიდანაც წყალი მიეწოდება სამ სექტორად დაყოფილ მოცვის ბალს.

სარწყავი წყლის საფილტრაციო-გამანაწილებელი სადგურის GPS კოორდინატებია (საკადასტრო კოდი 26.26.50.074) იხილეთ ფოტო #3 და #4

X	Y
746169	4643171



ფოტო #3 - საფილტრაციო-გამანაწილებელი
სადგური (გარე ხედი)



ფოტო #4 - საფილტრაციო-გამანაწილებელი
სადგური (შიდა ხედი)

მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა, რომელიც მარაგდება მდინარიდან ტუმბოს მეშვეობით საფილტრაციო-გამანაწილებელ სადგურში წყალაღებით დაქაჩული წყლის განაწილებით მიწის ნაკვეთებში ასევე სპეციალური ტუმბოს და სხვა მექანიზმების საშუალებით.

ერთი წლის განმავლობაში მდინარე ორაფოდან აღებული სასუქის შესატანად და სარწყავად გამოყენებული წყლის რაოდენობა საშუალოდ არის $3\ 144\ \text{მ}^3$ წელიწადში.

ცხრილში #1 იხილეთ წყლის მოხმარების საშუალო მაჩვენებლები თვეების მიხედვით.

ცხრილი #1

	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	სულ
სასუქის შეტანა - 1 ძირზე 6 ლ.	4-ჯერ 314.4 კუბ.მ.	4-ჯერ 314.4 კუბ.მ.		2-ჯერ 157.2 კუბ.მ.	3-ჯერ 235.8 კუბ.მ.	4-ჯერ 314.4 კუბ.მ. კუბ.მ.	1-ჯერ 78.6 კუბ.მ.	1418.8 კუბ.მ.
მოწყვა - 1 ძირზე 6 ლ.	1-ჯერ 78.6 კუბ.მ.	2-ჯერ 157.2 კუბ.მ.	4-ჯერ 314.4 კუბ.მ.	4-ჯერ 314.4 კუბ.მ.	8-ჯერ 471.6 კუბ.მ.	4-ჯერ 314.4 კუბ.მ.	1-ჯერ 78.6 კუბ.მ.	1729.2 კუბ.მ.
								სულ 3144.0 კ.მ.

ტერიტორია, რომელზეც გადის მდინარე ორაფო, განკუთვნება ადგილობრივ თვითმმართველობას დაქვემდებარებულ მიწას.

მდინარე ორაფოდან წყალაღების წერტილი უახლოესი ადგილობრივი მოსახლიდან მდებარეობს დაახლოებით 410 მეტრში, ხოლო საფილტრაციო გამანაწილებელი სადგური - 560 მეტრში. აქედან გამომდინარე წყალაღებისა და გამანაწილებელი ტუმბოების ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსახლეობაზე არ ვრცელდება. წყლის ტუმბოს მუშაობის დროს მისი ხმაურის გავრცელების არეალი დაახლოებით ვრცელდება 50 მეტრზე.

მიწის ნაკვეთიდან სამხრეთით დაახლოებით 25 მეტრში გადის საავტომობილო გზა, ხოლო ჩრდილოეთით დაახლოებით 40 მეტრში მიედინება მდინარე ორაფო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სარწყავი სისტემისთვის განკუთვნილი მიღი არ გადის „სისიპ დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის“ მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და ასევე არ კვეთს ტყის ფონდის მიწებს.

ვინაიდან ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კენკროვანი კულტურების ბაღის მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ცნობები კომპანიის შესახებ მოცემულია ცხრილში #2

ცხრილი #2


საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ბერი კომპანია“
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, დ. თავხელიძის ქ #1ა
ფაქტიური მისამართი (მოცვის ბაღი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ანასეული
საიდენტიფიკაციო ნომერი	405391473
საქმიანობის სახე	სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ანასეული
სკრინინგის ანგარიშის მომამზადებელი პირი	ელენე თაყაიშვილი (3.5.01017041610) თამარ ხუჭუა (3.5.33001073814)
სკონტაქტო ინფორმაცია	558 58 51 55 elene.takaishvili@gmail.com


დანართი # 3 და დანართი # 4 - სარწყავი სისტემის განთავსების სიტუაციური გეგმა - სქემატურად და ორთოფოტოზ
(იხილეთ 23 და 24 გვერდებზე)

3. სარწყავი სისტემის მოწყობის სქემა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობების, კერძოდ კი იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სილინგენი ნოლის ტოლია, სარწყავი სისტემის მისაწერისად საფილტრაციო სადგურამდე წყალი მიკვანილია მაგისტრალური 75 მმ. დიამეტრის და ქვემაგისტრალური 63 და 50 მმ. დიამეტრის პოლიეთილენის მილებით, ხოლო უშუალოდ ბალში 16 მმ. დიამეტრის სარწყავი წერტილოვამი მილები გაყვანილია ე.წ. „მულჩებში“ ზედაპირულად, როგორც ეს წარმოდგენილია ნიმუშის სახით #2 სქემაზე და ფოტოზე #5.

სქემა #2 - მდინარე თრაფოზე წყალაღების წერტილიდან საფილტრაციო-გამნაწილებულ სადგურამდე და სადგურიდან ნერგებამდე წყლის მიწოდების სქემა





ფოტო #5 - მოცვის ნერგების რიგი - ე.წ.
„მუღავი“ და „ზედაპირული წვეთოვანი
სისტემის შილი და ონკარი

4. სარწყავი სისტემის მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე

სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან სამუშაოების პროცესში არაა გათვალისწინებული სპეც-ტექნიკის გამოყენება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ნიადაგის დაზინდურება საწვავით და საზეთ-საპოზი მასალებით.

პროექტის განხორცილება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას არ ითვალისწინებს, ვინაიდან წვეთოვანი სარწყავი მიღების განთავსება სრულად გათვალისწინებულია ე.წ. „მულჩებში“ ზედაპირულად.

პროექტის განხორცილება მცნობილ საფარზე ზემოქმედებას არ ითვალისწინებს. აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის განხორცილებისთვის მძიმე ტენივის გამოყენებასაჭირო არ არის, რაც წარმოადგენს ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროს, ცხოველთა საყაროზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ტეგლი. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული ნაკვეთშორისი გრუნტის შიდაგზები. „მულჩებში“ სარწყავი წყლის მიწოდების ნიმუში იხილეთ ზემოთმოტანილ ფოტოზე #5.

5. პროექტის განსახორციელებლად საჭირო მასალები

შპს „ბერი კომპანია“ მიურ წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით გამოყენებულია 400 მეტრი სიგრძის 75 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთოლენის მაგისტრალური მილი, ასევე 200 მეტრი სიგრძის 63 მმ.დიამეტრის და 100 მეტრი სიგრძის 50 მმ. დიამეტრის ქვემაგისტრალური მილები, 2 ვალი ტუმბო, აქედან ერთი ტუმბო (დეტალი - 30 ტ/სთ) მდინარიდან წყლის ამოსალებად, ხოლო მეორე - საფილტრაციო-გამანაწილებელი საღვურიდან წვეთოვანი სისტემისთვის წყლის მისაწმინდელად (მეორე ტუმბო საფილტრაციო სისტემით ქვიშისა და დისკური ფილტრებით - წარმადობა 50 ტ/სთ) და ასევე 13 500 მეტრი სიგრძის 16 მმ დიამეტრის მქონე მიღები (1.2 ლ/სთ). წარმადობის) მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სისტემის მოსაწყობად.

6. კომპანიის მიერ სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლოატაციის პროცესში გამოსაყენებელი რესურსები

სარწყავი სისტემის ფუნქციონირებისთვის მდინარე ორაფოდან საფილტრაციო-გამანაწილებელ საღვურში ტუმბოს მეშვეობით წყლის მისალებად და ნაკვეთებში გასანაწილებლად საჭიროა ელექტროენერგიის გამოყენება, რომელიც მოწოდებულია აღგილობრივი ენერგომომარაგების ქსელიდან. 1 წლის განმავლობაში საჭიროა 7-8 ათასი კ.ვტ. ელექტროენერგიის გამოყენება. ამასთან, წლის განმავლობაში მდინარიდან მოპოვებული იქნება დახმალებელი 3144 ტ წყალი.

7. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები, ნარჩენების წარმოქმნა, ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერფენაზე

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლურჯი მოცვის ბალი წელიწადში მოიხმარს 3144 მ³ წყალს, რომლის აღებაც მოხდება მდინარე ორაფოდან. ვინაიდან წყალი გამოიყენება ბალის მოსარწყავად, წყალჩაშებას ადგილი არ ექნება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სარწყავი სისტემის მოწყობისა და ასევე ექსპლოაბუციის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

8. ავარიული შემთხვევების ალბათობა სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლოაბუციის პროცესში

წყლის სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ალბათობა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან მოწყობის პროცესში საჭირო არ არის მშენებელის გამოყენება, რამაც შესაძლებელია შექმნას ავარიული სიტუაციების აღმართობა. მიღების მოწყობა მოხდება მუშა-ხელის საშუალებით. მიღების გადაბმა მოხდება სპეციალური გადამყვანი ვენტილების საშუალებით. ზოგიერთ ადგილებში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სპეციალური შესაძლებელი უთ. ამ შემთხვევაში, ტექნიკური პერსონალი რომელიც იმუშავებს სპეციალური იქნება დაცვის სპეციალური საშუალებებით (სპეც. ხელთათმანი, ჩაფხუტი, ფეხსაცმელი და ა.შ).

რაც შეხება ექსპლოაბუციის პროცესს, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული მიღების შემთხვევითი გასკდომის დროს წყლის ავარიული დაღვრა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის თავიდან აცილება, გათვალისწინებულია წყალაღების წერტილში, ტემპბოსთან სპეციალური ჩამკლები ვენტიციის დაყენება. ამასთან ტუმბო აღჭურვილია ავტომატური გამორთვის სისტემით.

9. საპროექტო რაიონის გარემოს ფონზე მდგომარეობა

9.1 კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები

საშუალებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით საპროექტო რაიონი - ოზურგეთი განეკუთვნება III კლიმატურ და III ბ კლიმატურ

ცხრილი N3- საშუალებლო - კლიმატური რაიონების მახასიათებლები

პუნქტის დასახელება	კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მწ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
ოზურგეთი	III	III ბ	+2-ღან +6-ღღე	1.8	+22-ღან +28-მდე	- 50

ცხრილი N4 - ჰაერის ტემპერატურა

№	გარე ჰაერის ტემპერატურა, 0 °C												პერიოდი <80°C											
	წლის	აპრ.	მაი.	აპრ.	მაი.	აპრ.	მაი.	აპრ.	მაი.	აპრ.	მაი.	აპრ.	მაი.											
	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII													
I	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25
1	ოზურგეთი	4.8	5.4	8.0	12.0	16.6	20.0	22.3	22.6	19.4	15.4	10.4	6.9	13.6	-19	41	27.0	-4	-6	4.0	106	5.3	8.0	25.7
1	ოზურგეთი																							

ცხრილი N5 - ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

Nº	პუნქტის დასახელება	თვის საშუალო, 0 C											
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	ოზურგეთი	8.0	8.5	9.7	11.0	11.8	8.0	9.5	10.0	10.7	10.6	9.4	7.8

თვის მაქსიმალური, 0 C												
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	
10.9	18.0	19.4	22.3	23.6	21.0	19.5	20.5	21.4	21.2	19.0	19.5	

ცხრილი N6 - ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

N	პუნქტის დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე
	იანვა რი	თებერვ ალი	კველაზე ტი
1	2	3	4
1	ოზურგეთი	72	74

ცხრილი №7 - ნალექების რაოდენობა

N	პუნქტის დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღლებური მაქსიმუმი, მმ
1	ოზურგეთი	2168	216

ცხრილი №8 - თოვლის საფარი

N	პუნქტის დასახელება	თოვლის საფარის წლნა, კმ	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი
1	ოზურგეთი	0,50	22

ცხრილი №9 - გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სილომე, სმ

N	პუნქტის დასახელება	თიბოვვანი და თიხნარი	წვრილი და მტკრისებრი ქვიშის ქვიშარი	მსხვილნატები სიმსხვილის ხრეშისუბური ქვიშის	მსხვილნატები
1	ოზურგეთი	0	0	0	0

9.2. მდინარე ორაფოს ჰიდროლოგია

მდინარე ორაფო სათავეს იღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანასეულის დასახლების მიმდებარედ, ზღვის დონიდან 119 მეტრზე. იგი მდინარე ნატანების შენაკადია.

მდინარის სიგრძეა 12,46 კმ, ვარდნა 88 მეტრი, საშუალო დახრა 0,7%, წყალსაცავი აუზის ფართობია 13,18 კვ. კმ, საშუალო სიმაღლე 75 მეტრი.

ძირითადი შენაკადებია მდინარე ლეჩუმა და მდინარე ნაკვეთა, დანარჩენი შენაკადები უმნიშვნელოა და მათი სიგრძე არ აღემატება 1 კმ-ს. შენაკადების საერთო სიგრძე მთლიანობაში შეადგენს 36 კილომეტრს. მდინარე ორაფოს ქსელის სიმკვრივეა 2,73 კმ/კვ. კმ.

მდინარე ორაფოს გააჩნია ასიმეტრიული ფორმა, აუზის საშუალო სიგრძეა 4,3 კმ, ხოლო სიგანე 1,5 კმ. აუზის ზედა ნაწილი განლაგებულია ანასეულის დასახლების მიმდებარედ, მდინარე აჭისა და ბჟუჟისწყლის წყალგამყოფთან, ხოლო ქვედა ნაწილი შესართავამდე განლაგებულია მდინარე ნატანებისა და შარისწყალის აუზებს შორის, დაბა ლაითურის ტერიტორიაზე.

მდინარე ორაფოს აუზის სტრუქტურაში გვხდება პლიოცენის პონტური სართულის ზღვიური და კონტინენტური მოლასური თიხები, ქვიშაქვები, თიხიანი ქვიშაქვები და კონგლომერატები, ხოლო შესართავთან - 1-5 მეტრი სიმძლავრის მეოთხეული ასაკის ალივიურ-პროლოვიური გენეზისის კაჭარ-კენჭოვან და ქვიშოვან შემავსებელზე აგებული გრუნტები.

ტერასები განთავსებულია მდინარის თითქმის მთელ გაყოლებაზე და შესართავთან შეადგენს მაქსიმალურ მნიშვნელობას, სადაც მისი სიგანე არ აღემატება 50 მეტრს. ტერასის ზედაპირი შუაწელში წარმოდგენილია თიხნარებით, 1-3 % დახრით.

მდინარე ორაფო სათავეზე მოედინება არაუმეტეს 1მ. სიგანით, ხოლო შემდგომში, შესართავთან აღწევს 3 მეტრს, დაბა ლაითურის ტერიტორიაზე მდინარის შუა წელში მისი სიგანე არ აღემატება 2 მეტრს. მდინარის სიღრმე მერყეობს 0,2-0,5 მ (მცირეწყლოვანი უბნები) დან 0,7 – 1 მეტრამდე. დინების სიჩქარე სიგრძეში თანაბრად ნაწილდება და მერყეობს 0,1 დან 1მ/წმ.

წყალდიდობა მდინარისთვის დამახასიათებელია წლის ყველა პერიოდში, განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოდგომის წყალდიდობები, რომელიც ნალექის სეზონურ ზრდას უკავშირდება. როგორც წესი წყალდიდობისას მდინარის დონის ზრდა არ აღემატება ერთ მეტრს.

მდინარის მარაგი წლის განმავლობაში არათანაბრად ნაწილდება, რაც დამოკიდებულია ნალექიან ამინდსა და სხვა თანმდევ გარემოებებზე. მდინარე იკვებება ატმოსფერული და გრუნტის წყლებით. მდინარის საშუალო წლიური ხარჯია - 0,25 კუბ/მ/წმ, მაქსიმალური ხარჯი 2,9 კუბ/მ/წმ, მინიმალური

ხარჯი 0,05 კუბ/მ/წმ. დონეთა ცვლილების მაქსიმალური მნიშვნელობებია +45/-25 სმ.

მდინარე ორაფოს ძირითადი და ჰიდროლიგიური მონაცემები - ცხრილი #10

მახასიათებელი	გამოთვლილი		
	ანასეული	სოფ. ლაიტური	სრული
-წყალშემკრები აუზი კვ/კმ -აუზის საშუალო სიმაღლე მ.	4.17 94	11.76 84	13.18 75
წყლის საშუალო წლიური დანახარჯი - კუბ/მ/წმ			
- უზრუნველყოფილი 10 %-ით	0.100	0.277	0.317
- უზრუნველყოფილი 50 %-ით	0.079	0.217	0.247
- უზრუნველყოფილი 75 %-ით	0.069	0.191	0.217
- უზრუნველყოფილი 90 %-ით	0.061	0.169	0.192
წყლის საშუალო წლიური დანახარჯი - კუბ/მ/წმ			
- უზრუნველყოფილი 10 %-ით	1.159	3.187	3.622
- უზრუნველყოფილი 50 %-ით	0.910	2.504	2.846
- უზრუნველყოფილი 75 %-ით	0.801	2.201	2.501
- უზრუნველყოფილი 90 %-ით	0.708	1.948	2.213
წყლის საშუალო წლიური დანახარჯი - კუბ/მ/წმ			
- უზრუნველყოფილი 10 %-ით	0.020	0.055	0.063
- უზრუნველყოფილი 50 %-ით	0.015	0.043	0.049
- უზრუნველყოფილი 75 %-ით	0.013	0.038	0.043
- უზრუნველყოფილი 90 %-ით	0.012	0.033	0.038

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო მისი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს პერიოდულ მონიტორინგს საქართველოს სხვადასხვა მდინარეებზე.

სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად ცხრილში N11 მოცემულია მდ. ორაფოს წყლის სინჯის ლაბორატორიული ანალიზის შედეგები.

ცხრილი N11 - მდ. ორაფოს წყლის სინჯის ანალიზის შედეგები

#	ხარისხობრივი მაჩვენებლის ჩამონათვალი	საზომი ერთეული	ნორმატიული მაჩვენებელი	ფაქტიური მაჩვენებელი
1	PH		6,9	6,8
2	შეწონილი ნაწილაკები	ოგ/1	50,0	არ შეიმჩნევა
3	მშრალი მასა	ოგ/1	100-1000	105,0
4	ქლორიდები	ოგ/1	250,0	55,0
5	სულფატები	ოგ/1	250,0	25,0
6	მძიმე ლითონები	-	-	-
7	Cd - კალიუმი	ოგ/1	0,003	10,01
8	Cu - სპილენდი	ოგ/1	1-2	0,05
9	Pb - ტყვია	ოგ/1	0,05	-
10	? - თუთი	ოგ/1	3,0	0,01
11	Fe - რკინა	ოგ/1	0,3	0,1
12	Ni - ნიკელი	ოგ/1	0,1	0,015
13	Mi - მარგანეცი	ოგ/1	0,1	0,08
14	ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება ჟ. ბ. მ.	ოგ/1	3,0	0,32
15	ჟ. ქ. მ.	ოგ/1	30,0	0,5
16	სიხისტე	ოგ/1	1,5-7,0	0,3
17	ნიტრატები	ოგ/1	45,0	40,0
18	TPH	ოგ/1	0,04	10,3
19	ელგამტარობა	Sim	0,01	0,005

9.3 ნიადაგი და ლანდშაფტი

საპროექტო ტერიტორიის არეალში, მუნიციპალიტეტის დაბლობზე სუბტროპიკული, ერთეული და ალივიური -კარბონატული წითელმიწები, ზოგან გაეწერებული წითელმიწები, ზოგან გაეწერებული. დიდი ფართობი უკავია მთის ტყისა და მთის მდელოს ნიადაგების ნაირსახეობებს. ნიადაგის ჰიმულური ფენის სიმძლავრე დაახლოებით 15-25 სმ-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოხატულია ლანდშაფტის სიმაღლებრივი ზონალობა. კერძოდ განვითარებულია შემდეგი ფორმები: ნოტიო სუბტროპიკული, დახრილი ვაკე-დაბლობები კოლხური მცენარეულობით, ნოტიო სუბტროპიკულის ბორცვიან-ბექობიანი მთისწინეთი.

9.4 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხი

სამიზნე ტერიტორიის უახლოეს არეალში - ქ. ოზურგეთში 2017 და 2019 წლებში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვები:

2017 წელს ქ. ოზურგეთში ჩატარდა 12 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ერთ წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 4, გოგირდის დიოქსიდის - 4 და ოზონის - 4 გაზომვა. დაფიქსირდა აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების, ასევე ოზონის დაბალი ინდექსები. გაზომვების შედეგები მოცემულია ცხრილში #12.

2019 წელს ქ. ოზურგეთში ჩატარდა 12 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის სამ წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდი - 8 და ოზონის - 4 გაზომვა. აზოტის დიოქსიდის ინდექსი 7 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, ხოლო ერთ შემთხვევაში - კარგი. ოზონის ინდექსი ოთხივე შემთხვევაში იყო ძალიან კარგი. გაზომვების შედეგები მოცემულია ცხრილში #13.

2017 წლის ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ოზურგეთში

ცხრილი #12

მისამართი ეტაპი	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ ³				გოგირდის დიოქსიდი, მკგ/მ ³				ოზონი მკგ/მ			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
პარკი	21.26	34.48	28.73	30.54	<2.46	2.36	<2.17	<2.83	55.75	37.26	30.68	18.55

მისამართი ეტაპი	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ 3				ოზონი მკგ/მ			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
„სამკუთხა პარკი“	16.38	12.45	12.23	23.87				
9 აპრილის ქ.	25.96	20.47	16.84	32.05				
ცენტრალური პარკი					60.38	74.88	48.55	31.68

10. დასკვნები

- პროექტის განხორციელება მცენარეული საფარის გარემოდან ამოღებას არ ითვალისწინებს, ამასთან ხმაურწარმომქმნელი ტექნიკის გამოყენება, რამაც შესაძლებელია ცხოველთა სამყაროზე უარყოფითი გავლენა იქონიოს გათვალისწინებული არ არის;
- იქიდან გამომდინარე, რომ წვეთოვანი მიღების გაყვანისთვის ტრანშეების გაყვანა დაგეგმილი არ არის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და განთავსების საჭიროება არ არსებობს, შესაბამისად ნიადაგის ხარისხზე და სტაბილურობაზე ზემოქმედება ძირითადად არაა მოსალოდნელი;
- პროექტისთვის გათვალისწინებული მიღები არ კვეთს ტყის ფონდის მიწებს და დაცულ ტერიტორიებს;
- საპროექტო ტერიტორიის არეალში კულტურული მემკვიდრეობის რაიმე ძეგლები არ ხვდება და არც ლიტერატურული წყაროებით არ არის აღწერილი.
- საპროექტო ტერიტორია საკმაოდ მანძილით (დაახლოებით 1200 მეტრი) არის დაშორებული მოსახლეობისგან და ასევე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება ადგილობრივ მოსახლეობაზე უარყოფითი ზეგავლენა არ გამოიწვევს;
- პროექტის განხორციელებით ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან მდინარის კალაპოტში ისეთი სახის სამუშაოები, რამაც შესაძლებელია მდინარის დაბინძურება გამოიწვიოს, დაგეგმილი არ არის;
- პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების კუთხით, ვინაიდან ბაღის გაშენების და მისი ექსპლუატაციის შემთხვევაში დროებით დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა (20-30 მუშახელი).
- პროექტის განხორციელებით დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

11. დანართი #1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



N 26.26.50.074

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020655538 - 15/09/2020 10:40:42

მომზადების თარიღი
21/09/2020 17:49:50

საკუთრების განყოფილება

შეიძლება	საქმიანო	კურგალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გრძის საკუთრების დაკავშირების დაკვეთის დანიშნულება: სახითლის-სასტერნიკო დაზუსტებული ფართობა: 32799.00 კვ.მ.
თარიღი	ქ. თბილისი			ნაკვეთის წინა წომები: 26.26.50.063;
26	26	50	074	

მიმმართის ქაღალდი თარიღით, ანასეული

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020655538 , თარიღი 15/09/2020 10:40:42
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/09/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ექიმის ნიერის ნიერების სელჩუკერელია, დიმიტრის თარიღი: 15/09/2020 , საქართველოს უცხოულის სამინისტრო საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
- ექიმის ნიერის ნიერების სელჩუკერელია, დიმიტრის თარიღი: 15/09/2020 , საქართველოს უცხოულის სამინისტრო საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

მემკურნეობა:

შპს ბერი კომპანია, ID წომები: 405391473

მემკურნე:

შპს ბერი კომპანია

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახლო გირაფინანსი:

რეგისტრირებული არ არის

ვალიდულება

ყდაღება/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეგისტრი:

რეგისტრირებული არ არის



N 26.26.17.219

მონიტორინგის საჯარო რეგისტრი

განცხადების რეგისტრაცია
N 882020681213 - 22/09/2020 10:21:37მონიტორინგის თარიღი
28/09/2020 22:00:27

საკუთრების განცოფილება

შენია	სექტემბერი	კვირი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ფაზა: საკუთრება
იმპრენტი	ქ. იმპრენტი			ნაკვეთის დანამატებება: სამოწლილებელი
26	26	17	219	დამტკიცებული ფაზის ფაზა: 5801.00 კ. გ.

შინამძღვანი: ქადაგი თმურავი, აბაცევა

მესაკუთრის განცოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020681213 , თარიღი 22/09/2020 10:21:37
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 28/09/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტ:

- უძრავი ნოვოს სასიცოდოს სელალურობის, დაზიანებების თარიღი 22/09/2020 , საქართველოს უცხოურის სამსახურის საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნოვოს სასიცოდოს სელალურობის, დაზიანებების თარიღი 22/09/2020 , საქართველოს უცხოურის სამსახურის საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

მშპ "ბეჭი კომპანია", ID ნომერი 405391473

მესაკუთრები:

მშპ "ბეჭი კომპანია"

იპოთეკა

საფინანსებლივ გარემონტი:

რეგისტრირებული არ არის

ვალიდულება

ყველა/აქტივები:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეგისტრი:

რეგისტრირებული არ არის

12. დანართი #2 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საკარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21087182, 30/08/2021 15:08:56

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბერი კომპანი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405391473
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	16/06/2020
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საკარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, დ.თავსელიძის ქ., N 1ა, ბ. 1ა

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: elene.takaishvili@gmail.com

ფაქტურის ინფორმაციას ნამდვილობაში პასუხისმგებელია ინფორმაციის მომზადებული პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის
მიმღინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა


- დირექტორი - თამარი ხუჭა, 33001073814
- დირექტორი - ელენე თაყაიშვილი, 01017041610

პარტნიორები

შესაკუთრე	ნილი	ნილის მმართველი
თამარი ხუჭა, 33001073814	50%	

ელენე თაყაიშვილი, 01017041610	50%
----------------------------------	-----

დანართი # 3 - სიტუაციური გეგმა სქემატურად




0.8. მრავალი

0.8. მრავალი

85

დანართი #4 სიტუაციური გეგმა ორთოფოტოზე



მიმღებელი სამსახური - საქართველო		დანიილი ცალიშვილი	WGS 84 / UTM_Zone_37N
მიმღებელის სახელი, გვარი და გვ. კრონი	კორია ა. ცალიშვილი	მიმღებელის სახელი, გვარი და გვ. კრონი	32797 ა. ცალიშვილი
მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი	ბეჭედის მიხედვით	მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი	32797 ა. ცალიშვილი
ა. ცალიშვილი საქართველოს მდგრადი და უფრო უმარი მთავრობის წარმომადგენლობის მინისტრი სამსახური - საქართველო		მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი	32797 ა. ცალიშვილი
<input checked="" type="checkbox"/> ექსპრეს ჩვეულება <small>(ტელეკომუნიკაციების სამსახური)</small> <input type="checkbox"/> მუნიციპალიტეტის გვივრები <small>(მუნიციპალიტეტის გვივრების სამსახური)</small> <input type="checkbox"/> სასამართლო <small>(სასამართლოს სამსახური)</small> <input type="checkbox"/> სამსახური <small>(სამსახურის სამსახური)</small> <input type="checkbox"/> სამსახური <small>(სამსახურის სამსახური)</small>		მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი	32797 ა. ცალიშვილი
		მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი	32797 ა. ცალიშვილი
<input checked="" type="checkbox"/> 2022 წლის 23 იანვრის <small>(მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტის გვივრის დრო)</small>		მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი	32797 ა. ცალიშვილი
		მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი	32797 ა. ცალიშვილი
<input checked="" type="checkbox"/> 2022 წლის 23 იანვრის <small>(მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტის გვივრის დრო)</small>		მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი	32797 ა. ცალიშვილი
0.8. მიმღებელის გვარი ა. ცალიშვილი, სამსახურის მდგ. 744 <small>მიმღებელის სახელმწიფო დოკუმენტი</small> dato.surguladze7@gmail.com ტელ: (+995 591) 21 51 5			

გვ. ა. ცალიშვილი

88